567


იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-9 წელი

№ 12 (118)
დეკემბერი,
1964 წელი



საახალწლო

ახალი წლის პირველი ღამე და დღე — მახლობელთა შეყრის ჟამია, ურთიერთ მილოცვების ჟამია სასიკეთილო. ამ საყოველთაო დღესასწაულს ყველაზე უფრო ხარობს მომავლის იმედებით გულმომთბარი მთელი ქვეყანა.

ხარობს ჩვენი სამშობლოც... ერთდროულად წარსულითა და მომავლით ცხოვრობს. წელს კი უფრო იმედიანად და ასე ორფად ჩამოდგა ახალწლიური ფიქრების კრიალოსანი.

ჩვენი ერის უძველეს მოდგმას მუდამ ორი უბე-აკვანი ჰქონდა — შავი ზღვა და თეთრი კავკასიონი. უძველეს ღვთაებებად — მზე და მთვარე სწამდა. უდიდეს სასიყვარულოდ მშობლები და სამშობლო მიაჩნდა. ჩვენი, ყოვლად ქართული სახასიათო გმირებია — ბრძენი მინდია და მიჯაჭვული ამირანი. ქართული ენაც ხომ ჩვენი ახმაურებული მიწა-წყალია!

წარსულში, შავბნელ საუკუნეებს, არც უზიანოდ, მაგრამ გადავურჩით... გადმოვლახეთ ახალი მიჯნა. ახლა, მეოცე საუკუნე ხომ მცირერიცხოვანი ერების მხარის გაშლის საუკუნეა... აბა, გადახედეთ, დედამიწის განახლებულ რუკას!

კაცობრიობის სათავეებიდან მოყოლებული, ჩვენი საცხოვრისი კავკასია — მცირე აზია იყო. მშობლიური კერა ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი და ჩვენი ყოველწლიური განახლების ფასკუნჯს ის ასაზრდოებს. ჩვენში უხვად თესილი ეროვნული ნიჭი — საწინდარია, რომ, თუ ხელი არ მოვიცარეთ, არ ჩამოვრჩებით მოწინავე ერების თანაფერხულს. სამოქმედო და საშემოქმედო კი ჯერ ბევრზე ბევრი გვაქვს, მაგრამ ხელჩართული შრომის უნარი, ეროვნული ზნეობა და თვითშეგნებაც შესაფერისად გვახლავს.

ჩვენ გულგალალებული სტუმართ-მასპინძლობის ხალხი ვართ. მთელ ქვეყანას ვიწვევთ, ვიმოწმებთ... მაგრამ საკუთარ კერაში სტუმრის მიღება უფრო გვიყვარს, ვიდრე თავად სხვაგან, დიდი ხნით, თუნდაც თავის ნებით, მით უფრო იძულებით წასვლა.

ჩვენ ახლაც გვწამს და გვიყვარს ადგილის დედა, გვარის პაპა, ფუძის ანგელოზი!

მაგრამ ისტორიულ უკუღმართობას ჩვენი ღვიძლი ძმები, სახლის კაცები, ოჯახის შვილები, თანამემამულენი, მაინც არა ერთგზის გადაუტყორცნია შორს უცხოეთში.

ახალი წელი შორს წასულთა და უნებლიეთ გადახვეწილთა მოგონების დღეც არის ჩვენში... და სადაც არ უნდა იყოთ, ჩვენს ერს ერთობლივ ყველა გვახსოვს, ყველა ღვიძლად მიგვაჩნია, ვინც ჩვენი ერისკაცობის სახელს ღირსეულად ატარებს და გულისყურიც სამშობლოსაკენ აქვს მოპყრობილი.

სამშობლოს თუ გრძნობ და გახსოვს, იგი ყველგან თან გახლავს მარად!

...მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, თავის სამშობლოში კაცი ყოველთვის უფრო ბედნიერი და ღონიერია!


ამ იმედიან დღეს, ნუგეშად გეტყვით, რომ თქვენი მამაპაპური მიწა-წყალი, ჩვენი მზითა და მთვარით შეჯერებული, ვაზებისა და წყაროების, მარადმწვანე ქვეყანა, მუდამ გეგულებოდეთ სახლიკაცურად შენახული, დაცული და გამშვენებული...

საქართველოდან ბედნიერ ახალ წელს მოგილოცავთ სამშობლოს დაშორებულნო შვილნო!


ლევან გოთუა.

ქ. თბილისი,
1964 წლის მიწურული.

მშობლიური ადგილები



მცხეთა, სვეტიცხოველი ღამით.



გარძია, კლდეში ნაკვეთი ქალაქი.



მორგის არაგვი არაგვიანი.

დღა — საქართველოში

ქვეყანაში, ცნობები

ტამიში — კუბა

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის კოლექტივმა საპატიო შეკვეთა მიიღო კუბისაგან.

წელს გმირ კუბელ ხალხს ტამიშელებმა უნდა დაუმზადონ და გაუგზავნონ 500 კილოგრამი ევკალიპტის ზეთი. ამჟამად მეურნეობა-ქარხანაში წარმოებს ზეთის გამოხდა. რაზეც მეურნეობის ყველა მუშაკი განსაკუთრებული მონდომებით შრომობს.

პირველნი

რუსთავის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა 15 დღით ადრე შეასრულა წლიური გეგმა. დავალების გადამეტებით გამოშვებულია ათეულ ათასობით ტონა ცემენტი და ათასამდე კუბური მეტრი ფიბროლითი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რუსთაველმა მეცემენტეებმა ჩვენს ქვეყანაში პირველებმა აითვისეს „600“ მარკის წიდაპორტლანდცემენტის გამოშვება.

გათუმიდან — საზღვარგარეთ

ბათუმელ გემთმშენებელთა მიერ შექმნილი „ვოლგის“ ტიპის წყალქვეშაფრთებიანი ბევრი კატარღა დაცურავს საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ზღვებსა და მდინარეებში.

ამ დღეებში ბათუმელმა გემთმშენებლებმა რამდენიმე წყალქვეშაფრთებიანი კატარღა ააწყეს. ერთი მათგანი უკვე გაიგზავნა ჩეხოსლოვაკიაში.

ახალი მუზეუმი

საჩხერის მიდამოები ცნობილია არქეოლოგიურ-ისტორიული ძეგლებით. საჩხერის რაიონში მოპოვებული ძვირფასი მასალები ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. საჩხერის, ქორეთის, არგვეთის და სხვა სასკოლო მუზეუმების მასალების ბაზაზე აქ შეიქმნა ახალი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომლის დირექტორია ამ საქმის დიდი ენთუზიასტი, ქორეთის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი მ. გოგატიშვილი.

მუზეუმს დროებით სარგებლობაში გადაეცა აკაკი წერეთლის დედისეული ბაღის ტერიტორია შენობითურთ. შემკრებლობითი სამეცნიერო-კვლევითი და მასობრივ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის მუზეუმთან შექმნილია სამეცნიერო საბჭო 21 კაცის შემადგენლობით.

შვეიცარიელი დრამატურგი ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაზე

ამ რამდენიმე ხნის წინათ საბჭოთა კავშირში იმოგზაურა შვეიცარიელმა მწერალმა, თანამედროვეობის გამოჩენილმა დრამატურგმა ფრიდრიხ დიურენმატმა. მოგზაურობის დროს იგი საქართველოშიც იყო და თავისი დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ლადო გუდიაშვილის ნამუშევრების გაცნობას დაუთმო.

თვითონ მხატვარი (იგი თავისი პიესების თემებზე ხატავს) კარგად ერკვევა სახვითი ხელოვნების საკითხებში და საბჭოურ მხატვრობაზე საუბრისას მოსკოვში, მან პირველად ლადო გუდიაშვილი დაასახელა და თავისი აღფრთოვანება გამოთქვა ქართველი ხელოვანის შემოქმედებით.

სამშობლოში დაბრუნებისას მან ინტერვიუ მისცა გაზეთ „ციურპერ ვოხეს“ სსრ კავშირში მოგზაურობის თაობაზე. ეს საუბარი უმალვე გადაბეჭდეს დასავლეთ გერმანიისა და შვეიცარიის სხვა გაზეთებმა. ინტერვიუში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ლადო გუდიაშვილს.

„გუდიაშვილი მეტად საინტერესო ფერმწერალია. იგი კარგა ხანს ცხოვრობდა პარიზში და მოდილიანის მეგობარი იყო. მის ნამუშევრებს მე ვერავითარ ტრადიციულ კატეგორიას ვერ მივაკუთვნებ.

გუდიაშვილმა თავის ერთ-ერთ ოთახში შემიყვანა და მიჩვენა დიდებული სურათი, რომელზეც ქართველი პრინცესას წამებაა აღწერილი. სურათმა გოიას ნამუშევრები მომაგონა. გუდიაშვილს აქვს ძალიან პოეტური სურათები და იქვე უაღრესად შხამიანი „სატირებიც“.

იგი უარს ამბობს თავისი სურათების გაყიდვაზე. თბილისის მუზეუმში ჰკიდია მისი რამდენიმე შესანიშნავი ნამუშევარი, იგი ახლა 68 წლისაა და თბილისს თითქმის არასოდეს არ ტოვებს“.

შვეიცარიელი დრამატურგი ამჟამად ახალ ისტორიულ პიესაზე მუშაობს, რომელშიც კავკასიური თემაც იჭრება. გაისად კავკასიური კოლორიტის უკეთ შესასწავლად ფრიდრიხ დიურენმატი კვლავ აპირებს საქართველოში ჩამოსვლას.

გული

წინანდალი... რამდენი ძვირფასი რამ არის დაკავშირებული ქართველისათვის ამ ერთ სიტყვასთან, რაოდენ გულთბილ გრძნობებს უშლის იგი თვითეულ ჩვენს მამულიშვილს.

ამას წინათ წინანდალში ვიყავი და ნაცნობ-მეგობრები მოვინახულე. საუცხოო ალიგოტეთი დამშვენებულ სუფრასთან მასპინძელთა შორის იყო ბაადური, ბადურაშვილი. ჩვენ, პატარობას, ფეხბურთის ბევრი „მატჩი“ ერთად გვითამაშია. ვიცოდი, რომ იგი ადრე კარგი ფეხბურთელი იყო. მაგრამ გავოცდით, როდესაც მან სუფრაზე სიმღერაშიც გამოიჩინა თავი. იქვე გავიცან მისი ძმა შალვა, თმებშევერცხლილი დარბაისელი ჯმუხი ვაჟკაცი. გაოცებას იწვევდა მისი ხავერდოვანი ბარიტონი. ერთი სიტყვით ძმები ბადურაშვილების მშვენიერმა სიმღერამ ჩვენც გვახსენა და ქართული სუფრაც დაამშვენა. და განა მხოლოდ წინანდალში?!

ბაადურმა თბილისის კავშირგაბმულობის ტექნიკუმი დაამთავრა და წინანდლის სამ-

გული

შენებლო ორგანიზაციაში მუშაობს. უნივერსიტეტდამთავრებული შალვა კი თბილისის ოქტომბრის რაიონის საფინანსო განყოფილებაში ინსპექტორია და დიდუბეში მშვენივრად მოწყობილ სამოთახიან ბინაში ცოლშვილით ცხოვრობს. სამსახურებრივ მოვალეობასთან იგი ათავსებს ხელოვნებასაც. ჩაბმულია თვითმოქმედებით და პროფესიონალურ მომღერალთა გუნდებში. 1938-39 წლებში სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით მოქმედ ქართულ ხალხურ სიმღერების სახელმწიფო ანსამბლში მღეროდა საუცხოო ტემბრის ბარიტონით. ამავე გუნდში მღეროდა ბადურაშვილების უფროსი ძმა გოგიც. სამამულო ომის პერიოდში სამი ძმა (გოგი, შალვა და ირაკლი) ფრონტზე იბრძოდნენ. გოგიმ თავი დასდო დიადი საქმისთვის, შალვა და ირაკლი კი საბრძოლო ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებულები დაბრუნდნენ სახლში.

შალვამ სწავლა გააგრძელა... მალე ცხოვრების უმაღლესი საგზურით შეუდგა შრომას. არ დაივიწყა ხელოვნებაც და მღეროდა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში გრიგოლ კოკელაძისა და, მერე, შალვა მშველიძის ლოტბარობით. 1949 წლიდან კი შეთავსებით მღერის ქალაქის ტრანსპორტის თვითმოქმედ სახალხო გუნდში; ამასთანავე ხავერდოვანი ბარიტონით ამშვენებს ვოკალურ კვარტეტს, რომლის ხელმძღვანელი კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილია. ამ კვარტეტის სიმღერებით დაინტერესებული არიან რესპუბლიკის გარეუთაც. კვარტეტის პოპულარობაზე მეტყველებს ისიც, რომ უცხოეთიდან ჩამოსული მუსიკათმცოდნეები მოითხოვენ მათ მიერ შესრულებულ სიმღერებს და თან მიაქვთ მირიანაშვილის „განთიადი“, ჩუბინიშვილის „მოდი ჩემთან“, კერესელიძის „საპოვნელა“.

ხანგრძლივი პატიოსანი შრომის, საშემსრულებლო ხელოვნებისა და ქართული ვოკალური კულტურის განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის შალვა ბადურაშვილის ღვაწლი საქართველოს მთავრობისა და კულტურის სამინისტროს მიერ მრავალგზის აღინიშნა. 1956 წელს იგი დაჯილდოვეს პროფკავშირების მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერების საუკეთესო შემსრულებლის დიპლომით, 1961 წელს საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის — უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ხოლო 1962 წელს — 1 ხარისხის დიპლომით მხატვრულ თვითმოქმედების ინდივიდუალურ-შემსრულებელთა კონკურსში გამარჯვებისათვის.

ეძახის

ზაქარია და სოფიო ბადურაშვილის ყველა შვილი და შვილიშვილი პირადი ცხოვრებით სამშობლოში ბედნიერია. ირაკლი ოჯახით ოდესის ოლქში ცხოვრობს. დაცოლშვილებული ბაადური წინანდალში



მშობლიურ კარ-მიდამოს და მამულს პატრონობს, მსახურობს და თანაც სიმღერას სპორტთან ათავსებს. ბედნიერია შალვაც, რომლის მეუღლე ეკონომისტია, ჰყავს ორი ქალიშვილი. უფროსი — ლილი უკვე სამედიცინო ინსტიტუტში ეუფლება ექიმის პროფესიას, უმცროსმა — ნათელამ კი წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.

მხოლოდ ერთი ძმა, ერთი დედმამიშვილი გამდგარა განზე, 18 წლის გულუბრყვილო ახალგაზრდა კაცი ფეხის ხმას აყოლია და 1924 წელს საზღვარგარეთ გადახვეწილა. ეს გახლავთ საშა (ალექსანდრე) ბადურაშვილი ანუ ბაადური, როგორც საფრანგეთის ქართველობაში არის ცნობილი. საყვარელ და ძვირფას სამშობლოდან გადახვეწილი საშა ძმისმე ფიზიკური საქმიანობით, დღედაღამ შრომით ირჩენდა თავს. 1930 წლამდე საავტომობილო ქარხნის რიგითი მუშა იყო და ყველა სხვა ფრანგი მშრომელის მძიმე ხვედრს იზიარებდა. მხოლოდ 1931 წელს „იგრძნო შვება“, როცა ტაქსზე მოეწყო შოფრად. განა ასეთივე საქმიანობა მას არ შეეძლო საქართველოში? ან და დღეს ვინ უშლის ქართველს იმსახუროს ქუთაისის და თბილისის ავტოქარხანაში, იმუშაოს ტაქსომოტორზე...

ალექსანდრე ბაადური შრომასთან ერთად თავის მშვენიერი ბარიტონით მღეროდა კიდეცა პარიზის რუსულ ოპერაში, ქართული სიმღერის მცირე გუნდებში, მონაწილეობდა სათვისტომოს საღამო-კონცერტებში და მშობლიური ჰანგით ატკბობდა ერთბედქვეშ მყოფ თანამოძმეებს. იგი დღესაც აქტიურია ქართულ პარიზულ საღამოებში და ჩონგურზე ტკბილი დამღერებით დამსწრეთ



ჰეც მოსინჯოს და საფრანგეთის გზების მაგიერ ბარაქიანი ქართლ-კახეთის ველები სეროს...

„გაყრილი“ ძმები ხშირად სწერენ ერთმანეთს წერილს სიკეთისა და მშვიდობის გრძნობით. გარე ქართველი შინაურს ამცნობს: „ძალიან მასიამოვნა ჩვენი წინანდლის სახლისა და ბავშვთა სურათმა. გამახსენდა ჩემი ბავშვობა, მომაგონდა ჩვენი კაკლის ქვეშ თამაში და გავიფიქრე: ნეტავ კიდევ მეღირსება, რომ ამ კაკლის ქვეშ გავიარო? მე მგონი შეიძლება დადგეს ის დრო, რომ ეს ოცნება სინამდვილედ გადაიქცევა“.

რატომაც არა! შესაძლოა ამ მოკლე დროში ბაადურიანთ კაკლის ჩრდილში გაშლილი სუფრა, ქართული ლხენა და წინანდლური სამის მაგიერ დაამშვენოს ოთხივე ძმის ტკბილმა სიმღერამ. ჯერჯერობით კი საშას საახალწლო ნობათად შალვა სოლოდ და ქალიშვილებთან შესრულებულ სიმღერების ჩანაწერებს უგზავნის.

ამირან ცამციშვილი.

* * *

ზემო სურათზე, რომელიც პარიზშია გადაღებული, თქვენ ხედავთ საშა (ალექსანდრე) ბადურაშვილს; შუა სურათზე აღბეჭდილია ალექსანდრე ბადურაშვილი თავისი ოჯახით — მეუღლითა და ორი ქალიშვილით; ქვემო სურათზე თქვენ ხედავთ ქალაქ თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი სახალხო ანსამბლის გამოსვლას, რომლის აქტიური წევრია საშას ძმა შალვა ბადურაშვილი (მარცხნივ, წამოწოლილი).



ირმები ბორჯომის ხეობაში

ბორჯომის ხეობა. კუროორტები წყალვარი, ცემი, ბაკურიანი. მშვენიერი ბუნება, ფიჭვნარი... ეს თვალწარმტაცი ხეობა, 15 ათას ჰექტარზე რომ გადაჭიმულა, სახელმწიფო ნაკრძალია.

ნაკრძალის მშვენებაა კეთილშობილი ირმები, რომელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ახლა აქ 1903 ირემია, ასი სულით მეტი, ვიდრე შარშან იყო.

აქ ყოველგვარ პირობებს ქმნიან ირმების მოშენებისათვის. სხვადასხვა ადგილას დააზვინეს თივა, ერთნახევარ ჰექტარზე დათესეს საკვები კულტურები, მოაწყეს 120 სამარილე.



მაე

უჩვ

ამ რამდენიმე დღის წინა
თაველის სახელობის სახელ
მცირე დარბაზში საქართველ
ყებლობისა და ტელევიზიის
მიტეტმა მოაწყო კომპოზიტ
ღარის ნაწარმოებთა ღია კო
ეს ფაქტიურად იყო სა
ვლილი და ქართველი სა
ვის ნაკლებად ცნობილი კ
თვის ხელმისაწვდომი თი
ების პირველი საჯარო შეს

სიმოვნო რამ დაიწერა საზღვარ
მის მუსიკაზე.

საქართველოში საბჭოთა ხელი
ლების დამყარების პირველსავე წ
ში ერეკლე ჭაბადარი სახალხო გ
ლების კომისარიატის გადაწყვეტ
ბით პროფესორად იქნა მ
თბილისის კონსერვატორიაში. მ
სამწუხაროდ, ეს განზრახვა არ გ
რცილდა. 1923 წელს კი მძიმე გ
ვებისა და სამგზავრო თანხის უქო
ბის გამო ერეკლე ჭაბადარი იწერ
პარიზიდან:

„ვალის გადასახდელად, სამოს
საუიდლად და სამგზავროდ გენ
თუნდა ვალად თანხა გადმომიგზა
მყის წამოვალ თბილისს, შევუ
თანამდებობას, გავმართავ კონცერ
ოპერას და შემოსავლით გად
თქვენს ვალს. აქ აუტანელ გაჭირ
ვიტანთ“.

მისი ოცნება განუხორციელ
დარჩა და ეს სანეტარო სურვილ
თან ჩაიტანა სამარეში.

ა მასწინანდელმა სიმფონიურმა
ცერტმა, რომელიც მთლიანად
ლე ჭაბადარის ნაწარმოებებს მი
საზეიმო ვითარებაში ჩაიარა.

საღამო დაიწყო, „საფორტეპიან
ნცერტის“ მეორე და მესამე ნ
შესრულებით. იგი დაწერილია
1916 წელს. მეორე ნაწილი პა
იგი Andante -ს სახით ერ
გადასასვლელ ნაწილად გვევ
კონცერტის ფინალისაკენ. (ასეთი
ლითები ბევრი გვხვდება სიმფო
მუსიკის ლიტერატურაში. ბახი
აკეთებდა ამას Concerto gros
ბეთჰოვენს ეს ხერხი გამოუყენ
აქვს IV სიმფონიის მეორე, გარდ
ნაწილში). ამ ნაწილის თემად კო
ტორმა ხალხური სიმღერა „მ
მურმან, შენსა მზესა“ გამოიყენ
ეს ქართლური ხალხური თემა
ტერესოა საერთოდ. ბევრ ქართვ
სხვა კომპოზიტორს ჰქონდა სუ
დაემუშავებინა იგი. მაგალითად
იპოლიტოვ-ივანოვს, მ. ბალაკ



ერეკლე ჭაბადარი იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში ქართული მუსიკის ცეცხლი დაანთო ევროპის ცნობილ კულტურულ ცენტრებში: ბრიუსელში, პარიზში, ნიცაში, ვენაში, ციურიხში, ლოზანაში და სხვაგან. იგი სამშობლოდან მოშორებული ქმნიდა მშობლიურ მუსიკას, აღვივებდა შემოქმედებით ნაღვერდალს, არ იშურებდა ძალასა და ენერგიას, რომ დაემკვიდრებინა მუსიკაში ახალი ნაკადი, ახალი სახეები, სამშობლოსთან, ქართულ კულტურასთან შერწყმული შემოქმედება.

ერეკლე ჭაბადარი შვილია ერთ-ერთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა, წიგნებისა და პერიოდულ გამოცემათა მესვეურის ალექსანდრე ჭაბადარისა, რომელმაც 1902 წელს თავისი ორი შვილი გიორგი და ერეკლე ბელგიაში გაგზავნა სასწავლებლად. ერეკლეს ბავშვობიდანვე გამოაჩნდა მუსიკის განსაკუთრებული ნიჭი, მუსიკისადმი დიდი სიყვარული და მიდრეკილება. ბელგიაში გამგზავრება იმით იყო გამოწვეული, რომ ა. ჭაბადარს ქ. ბრიუსელში ქართველთა კოლონიაში მეგობარი ჰყავდა და შვილების მოვლა-განვითარება მას დააკისრა.

ერეკლემ პირველდაწყებითი სწავლა თბილისში მიიღო, მუსიკასაც აქ ეზიარა (იგი დაბადებულია 1891 წელს). მამამ ბრიუსელში გაგზავნა დანარჩენი 4 შვილიც — ვახტანგი, ილია, შალვა და შოთა, რომლებიც თავის მეუღლეს მანანას გაატანა (მანანა რცხილაძე წარმოშობით კახეთიდან იყო, სოფელ შაშიანიდან).

ბრიუსელში ქართველთა მცირერიცხოვანი კოლონია ხშირად მართავდა საღამო-კონცერტებს, რომლებშიც თვითმოქმედების სახით ბევრი ქართველი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის ახალგაზრდა პიანისტი ერეკლე ჭაბადარიც, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

შემდეგში ერეკლე ხელმძღვანელობდა ქართველ მოსახლეთაგან შემდგარ მომღერალთა გუნდს. პროგრამაში იყო ევროპელ კომპოზიტორთა საგუნდო ნაწარმოებები, ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. პროგრამის მეორე განყოფილებაში მას ევალებოდა თავისი საყვარელი კომპოზიტორების ლისტისა და გრიგის საფორტეპიანო ნაწარმოებების შესრულება.

ერეკლე დაუღალავად მუშაობდა, ძალას არ ზოგავდა საფორტეპიანო ტექნიკის დაუფლებისათვის. მან მცირეოდენი კონცერტების საფასურით ფულის შეგროვება დაიწყო და თუ ხელმოკლეობის გამო ვერ მოახერხა იტალიაში, კომპოზიტორ მასკანისთან გამგზავრება, სასწავლებლად. ყოველ შემთხვევაში, სწავლის გაგრძელება ვენაში არჩია, რაც განახორციელა 1908 წელს. მან ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა ვენის კონსერვატორიაში, ჩაირიცხა კომპოზიტორ და დირიჟორ რიჰარდ ჰოიბერგერის კლასში კომპოზიციის შესასწავლად და იულიუს ვოლფზონთან საფორტეპიანო ხელოვნებაში დოსტატებისათვის...

და აი იქ, სადაც დიდი ბეთჰოვენის, მოცარტის, ჰაიდნის, შუბერტის და შტრაუსების მოღვაწეობით შეიქმნა დიდი მუსიკა, დიდი მუსიკალური ტრადიციები, ვენაში, სადაც განსვენებენ მუსიკის დიდი კორიფეები, ამ ტრადიციულ მუსიკალურ ცენტრში დაიწყო ერეკლემ შოდვაწეობა და ძისი შეშოქმედების პირველი ოპუსებიც ვენაში ჩაისახა, თუმცა პირველივე გამოვლინება შემოქმედებაში სამშობლოს ჰანგებით დაიწყო.

ე. ჭაბადარი ღრმა მცოდნე იყო ხალხური სამუსიკო შემოქმედებისა. მისმა საყვარელმა დედამ შესანიშნავად იცოდა ქართლ-კახური ხალხური სიმღერები, მათი ტკბილი და მომჯადოებელი ჰანგები, და მათი სიყვარული შვილს ჩაუნერგა. შეაყვარა მშობლიური გარემო მისი ავკარგი, ხალხური მუსიკა, ზეპირსიტყვაობა და ქართული ლიტერატურა.

1907 წლიდან ერეკლე ქმნის სხვადასხვა ჟანრის მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომელთაც არ ჰქონდათ დასრულებული ხასიათი, როგორც ეს საერთოდ ხდება ხოლმე. კომპოზიტორის ჩამოყალიბებული ნაწარმოებები გაჩნდა 1913 წლიდან. მათ ატყვია ღრმა მელოდიურობა, ნატიფი ხელოვნებისა და დაოსტატებული შემოქმედების პროფესიული იერი. 1913 წელს ვენაში შეიქმნა „ქართული რაფსოდია“ და ამით საფუძველი დაედო ქართული სიმფონიური მუსიკის ჩამოყალიბებას მაშინ, როდესაც ჩვენ არა გვქონდა ქართული სიმფონია, სიმფონიური პოემა, თუნდაც სიუიტა ან ვოკალურ-სიმფონიური ჟანრის რომელიმე დიდი ნაწარმოები. ეს მოვლენა ჩვენ ისტორიული თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ.

რაფსოდიას მოჰყვა სხვადასხვა ჟანრის უამრავი ნაწარმოები, რომლებმაც გაამდიდრეს კომპოზიტორის შემოქმედებითი დიაპაზონი, თანდათან სახელი გაუთქვეს მას, როგორც ნიჭიერ კომპოზიტორსა და გამოჩენილ პიანისტს. უნდა ითქვას, რომ ამ დროისათვის ერეკლე ჭაბადარი უკვე დასრულებული პიანისტი იყო, მან მთლიანად ითვისა პიანიზმის ვენური სკოლა, მოუსმინა ამ დარგის უდიდეს წარმომადგენლებს ვენაში, თვითონაც გახდა საუკეთესო ხელოვანი-ოსტატი და ეს ოსტატობა, პიანიზმის ტექნიკის დიდი გამოცდილება თავის ღრმაშინაარსიან მუსიკაში შესანიშნავად გამოიყენა.

ასე დაიბადა საფორტეპიანო კონცერტები, პრელუდიები, ვარიაციები, რაფსოდიები, პიესები ფორტეპიანოსა და ჩელოსათვის, ვოკალური ჟანრში—სიმღერები, ბალადები, რომანსები „სულო ბოროტო“, „მერანი“, „ქართული ლეგენდა“, „აღმოსავლური სიმღერა“, „თბილისური“, „მოკვდა მეუღლე“, „რიჰარდ ჰოიბერგერის ხსოვნას“, „რანინა-ნანუნი“, „განცდილი წუთები“, მრავალი სიმფონიური სურათი და საორკესტრო მინიატიურები—„გველის ჰანგი“ (აღმოსავლური იერით), „ინდაურები“, „მაყორისა და მინორის კონცერტები“ და, უკანასკნელად, ქართულ თემაზე აგებული სამმოქმედებიანი ოპერა „გულნარა“ (ა. ყაზბეგის „ელეონორას“ მიხედვით). ლიბრეტო მთლიანად დაწერილია ე. ჭაბადარისა და მისი მეუღლის, უნგრელი ქალის მარგიტ ბარჩოს მიერ.

უნგრეთში ხშირმა მოგზაურობამ, უნგრელ ხალხთან ახლო კავშირმა, რაც მისი მეუღლის და მეგობრის საშუალებით სდებოდა, დაიწერინა მას უნგრული ხასიათის მრავალი ნაწარმოები: „კონცერტი უნგრულ თემებზე“, „ბოლერო“, მოგონებები უნგრეთზე, მაზურკები და დაუმთავრებელი უნგრული დრამატული ოპერა „ბაბე“.

ამ ნაწარმოებების უმრავლესობას ასრულებდნენ საუკეთესო ორკესტრები და გამოჩენილი დირიჟორები ევროპაში. „ქართულმა რაფსოდიამ“ შემოიარა ევროპის ქალაქების უმრავლესობა — პარიზი, ვენა, ბრიუსელი, ნიცა. აქვე სრულდებოდა კომპოზიტორის სხვა სიმფონიური და კამერული ნაწარმოებები.

„ქართული რაფსოდია“ პირველად შესრულდა ქალაქ ვენაში 1913 წლის 7 მარტს ჩეხი დირიჟორის ოსკარ ნედბალის დირიჟორობით.

მას შემდეგ, რაც 21 წლის ჭაბუკი ერეკლე ჭაბადარი პირველად გამოვიდა თავისი ნაწარმოებებით ყველა მუსიკოსისათვის საოცნებო და „საშიშ“ ქალაქ ვენაში, როდესაც იგი ბეთჰოვენისა და შუბერტის ტრადიციების სამფლობელოში წარსდგა მომთხოვნი საზოგადოების წინაშე, როდესაც ახალგაზრდა კომპოზიტორი თავისი მელოსის ახალი ნაკადით შეიჭრა იოჰან შტრაუსის ცეცხლოვანი მუსიკის სამყაროში, ბევრი სა-

გადმობეჭდილია გაზეთ „კომუნისტიდან“ (18.XII.64 წ.).

რედ დაბადება

დპკოზიტორ ერეკლე ჯაბადარის მუსიკაზე

ბილისის რუსფო თეატრის რადიომაუწყელმწიფო კოერეკლე ჯაბარტი.
არეთ გარდაცოებრიობისათიტორის ჩვენელა ნაწარმოება. კონცერტმა

დედაქალაქის მშრომელებისა და ჩვენი მუსიკალური ინტელიგენციის ყურადღება და ინტერესი გამოიწვია.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კომპოზიტორ შალვა მუშველიძის ქვემოთ გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც ავტორმა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის თხოვნით დაწერა, ლაპარაკია ერეკლე ჯაბადარის ნაწარმოებთა ამ კონცერტზე და, საერთოდ, კომპოზიტორის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე.

კ. ფოცხვერაშვილს, კ. მაღრაძეს, მაგრამ რამდენიმე წლის მოგვიანებით ზაქარია ფალიაშვილმა მთელი სისავსით ააგო ამ სიმღერაზე „აბესალომის“ მეოთხე აქტი და მას დრამატურგიული ფუნქცია მიანიჭა.

ერეკლე ჯაბადარს „მურმან, მურმან“ გამოყენებული აქვს თავისებურად და საინტერესოდ. თემა ხან მინორშია, ხან მაჟორში, ხდება მისი დამუშავებაც. ლამაზად ეხმაურებიან ერთმანეთს როიალი და ორკესტრი. აღინიშნება უდიდესი ლაკონიურობა მუსიკის მასალის შერჩევასა და გამოყენებაში. კონცერტის ფინალისათვის კომპოზიტორმა ისევ ხალხურ თემას მიმართა. აქ კი მომხიბლავად გაისმა ხალხური სიმღერა: „შავლეგ, შენი შავი ჩოხა“. ასეთი სისადავე, მიამიტობა, სიმსუბუქე, ბგერათა და ფერთა ლამაზი შეხამება, ტემბრების თამაში, უდიდესი ლაკონიურობა, რომელიც მუსიკალურ საშუალებათა გამოყენებაში თითქმის სიძუნწემდე მიდის, მართლაც დასაფასებელია.

კონცერტს ისმენთ სიამოვნებით, მუსიკა არა გლეთ, ის ნაირფეროვან სურათებს გიშლით წინ. კონცერტის ეს ნაწილები შესანიშნავად შეასრულა კონსერვატორიის დოცენტმა თინათინ გოგოლაშვილმა, შეასრულა დიდი სინატიფით, ხუფთა, მოქნილი ტექნიკით, როგორც ეს მას სჩვევია ყოველთვის.

ორი რომანსი „ლოყით მოეპყარ“ და „ვაი მას, ვისაც ვაძლევდი მსხვერპლად“ — შეასრულა კარგი, მაღალი ხმის მქონე მომღერალმა რუსუდან გედევანიშვილმა როიალის პარტიის სასიამოვნო თანხლებით (კონსერვატორიის დოცენტი ნინო ლაფერაშვილი). ორივე რომანსში გიზიდავთ მათი უშანკოება და ის სულიერი განწყობილება, რომელიც მსმენელს უმალვე გადაიყვანს ხოლმე გრძნობათა სხვა სამყაროში, გატყვევებთ კომპოზიტორის შთანაფიქრით, განცდათა სისავსით, მეტყველების სილამაზით. ფორტეპიანოს თანხლება ორიგინალური და თავისებურია.

ასევე ორი სხვა რომანსი შეასრულა მომღერალმა თენგიზ ზაალიშვილმა, რომლის შესანიშნავი ლირიკული ტენორის იერი ყოველთვის უზადო და მიმზიდველია. მან შეასრულა კომპოზიტორის ახალგაზრდული პერიოდის ქმნილებები „სული ობოლი“ და „სატრფოვ“, რომელიც დაწერილია 1907 წელს, ბელგიაში ყოფნის დროს.

„სული ობოლი“ საქართველოში პოპულარულ რომანსად ითვლება, მას მღეროდა უველა ლირიკული ტენორი. ეს ნაწარმოები დიდი სულიერი ღელვისა და სამშობლოსადმი ტრფიალის გრძნობით არის დაწერილი. იგი, მეტად მელოდიური და მღერადი, ისეთ ინტონაციებზეა აგებული, რომ მსმენელებს უმალვე ამახსოვრდებათ. მიუხედავად იმისა, რომ მასში სჭარბობს მაღალი და დაბალი რეგისტრების გამოყენება, რაც შესრულებისათვის ძნელია. სითბოთი და უბრალოებით გამოირჩევა აგრეთვე მეორე რომანსი „სატრფოვ“.

ამის შემდეგ შესრულდა კომპოზიტორის სამი საფორტეპიანო მინიატიურა. მათ სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს. ესენი იყო „ნაურული“, „კაპრისი“ და ცეკვა „ქართული“.

ცეკვა „ნაურული“ მე მომისმენია ბავშვობის დროს, და რა უცნაური იყო, როცა ძველი ნაცნობივით წინ წარმომიდგა კავკასიელ მთიელთა ეს გულთბილი ცეკვა, ლაღი, სხარტი და ამაყი, როგორც საერთოდ მთიელების უველა ცეკვა, მაგრამ ასე ოსტატურად გადამუშავებული ე. ჯაბადარის მიერ.

„ნაურული“ საფორტეპიანო ტექნიკის გამოყენებით, მთიელთა ცეკვის გამოკვეთილი, ამაყი და გმირული ხასიათით, შესაფერი ფაქტურის შერჩევით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია მის შემოქმედებაში. „კაპრისი“ პატარა ლირიკული მინიატიურაა, ადვილი და მისაწვდომი უველა პიანისტისათვის. ცეკვა „ქართული“ ახლოს არის კომპოზიტორის ბუნებასთან. საერთოდ მას ძალიან ემარჯვება ცეკვის ხასიათის გადმოცემა, რაც სხვა ნაწარმოებებშიც ჩანს. ამ ცეკვაში ბობოქარი სული, მუსიკის ამაღლებული ტონი და ხმოვანების ელვარება — მედგარ, ცეცხლოვან რიტმთან კავშირშია.

განსაცვიფრებელია, რომ რა თემაც არ უნდა აიღოს, ე. ჯაბადარი უველას თანაბარი პასუხისმგებლობით ეკიდება და საფორტეპიანო ტექნიკის დიდი ცოდნითა და გემოვნებით ამუშავებს. საინტერესოა ისიც, რომ პარიზსა და ნიცაში დაწერილ ნაწარმოებებს ატყვიათ ღრმა ეროვნული სული და განწყობილება. უკვე მძიმედ დაავადებული კომპოზიტორი 1935 წელს პარიზში წერს ამ ცეცხლოვან ცეკვებს: მისი სიცოცხლე და სული მშობელ ქვეყანაშია.

ეს სამი მინიატურა დიდი სიფაქიზით, მაღალოსტატურად შეასრულა პიანისტმა ნანა ვარდოსანიძემ.

პროგრამაში დიდი ადგილი დაეთმო საორკესტრო მინიატიურებს. შესრულებული იყო აღმოსავლური იერით დაწერილი, ინდოეთის სურათების ამსახველი „გველის ჰანგი“ (1927 წ. პარიზი). ფლეიტის სოლოსა და ორკესტრის ხემიანი ჭგუფის ტემბრების შეზავებით მიამიტი ლამაზი მინიატურა-სოლოს ფლეიტაზე ასრულებდა ნუგზარ კიკნაძე. შესრულებული იყო მეორე მინიატიურა „ინდაურები“ (1923 წ. რომელმაც მსმენელთა აღფრთოვანება გამოიწვია. წარმოიდგინეთ კომპოზიტორი, რომელიც ტიუილრის სასახლესა და ეიფელის კოშკს უმზერს პარიზში და ამ დროს საგარეჯოსა და პატარძეულის სანახებს ხედავს, ყელაწეული ინდაურების ჭუკჭუკი, კრიახი და კივილი ესმის. აი რა არის სამშობლო...

პატარა სიმფონიური სურათი „თბილისიური“ („თბილისიანა“), დაწერილი პარიზში 1935 წ., აგებულია ქალაქური ფოლკლორის დამახასიათებელ ინტონაციებზე. კომპოზიტორი არ ერიდება ქალაქური ციტატის გამოყენებასაც („გნახე ტურფა, შემიყვარდი, მონავარ შენი“ და სხვ.). ამავე თემამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მ. იპოლიტოვ-ივანოვის, დ. არაყიშვილის და ა. სპენდიაროვის ზოგიერთ ნაწარმოებში.

და, ბოლოს, შესრულებულ იქნა „ქართული რაფსოდია“, კომპოზიტორის პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელმაც მას სპეტაკი სახელი და ღირსება მოუპოვა. რაფსოდია სამნაწილიანია.

მისი პირველი ნარნარი ნაწილი — Andante გულჩათხრობილი სვედიანი პოემაა. მეორე ნაწილი — Piu leuto სხვა ასპექტით გადმოგვცემს კომპოზიტორის პირველი ნაწილის თხრობით ხასიათს, მის წარსულსა და ნაირფერად მოგონებებს სოფელზე, ხალხზე, სამშობლოზე. მესამე ნაწილი — Allegro ცეცხლოვანი რიტმებით მჩქეფარე და მშფოთვარე ნაწილია. ხშირად ქალაქური ყაიდისა და ელფერისა. „რაფსოდიაში“ დიდი ზომიერებით და ტაქტით გამოყენებულია ფორტეპიანო. ორკესტრი და სოლო საკრავი შესანიშნავ ურთიერთობაში იმყოფებიან. უველგან მკაფიოდ ისმის როიალის მიმზიდველი მუსიკალური ფაქტურა, ოსტატობით გადმოცემული პიანისტ თინათინ გოგოლაშვილის მიერ.

ამ ნაწარმოებშიც კომპოზიტორი არ ღალატობს მუსიკალური ფერწერის მანერას. მის ღრმა გრძნობებთან და სამშობლოს სიყვარულთან ერთად საქართველოს წარმტაცი პეიზაჟებისა და მის მკვიდრ ადამიანთა ხატოვანი სურათები წარმოგვიდგება. საინტერესოა ის, რომ ე. ჯაბადარის „ქართულმა რაფსოდიამ“ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენს ესტრადებზე. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, დირიჟორ ზ. ხუროძის შემდეგ, რომელმაც 1960 წლის 6 მარტს პირველად შეასრულა თბილისში „ქართული რაფსოდია“, იგი შემდეგაც რამდენჯერმე შესრულდა.

ქების ღირსია საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი, რომელმაც დირიჟორის ლილე კილაძის ხელმძღვანელობით ასე შესანიშნავად ჩაატარა სიმფონიური კონცერტი. სიმფონიურ მინიატიურებს დირიჟორობა ახალგაზრდა მუსიკოსი რევაზ ხურცილავა.

როგორი დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ამ საინტერესო კონცერტის შემდეგ?

პირველი ის, რომ ძნელი იყო არარაობაზე რამის შექმნა მაშინ, როდესაც არ არსებობდა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სიმფონიური ნაწარმოები, დაწერილი ქართველი კომპოზიტორის მიერ, და ამაში ერეკლე ჯაბადარის ღვაწლი უდიდესი და დასაფასებელია.

სხვა კომპოზიტორებზე ადრე მან გამოიყენა ქართული, მშობლიური ხალხური თემები, რითაც დასაწყისშივე მუსიკა მიუახლოვა ხალხს, სამშობლოს, სოფელს, მის სინამდვილეს. იგი არ გაჰყვა „მოდერნისტულ“ მიმართულებებს და თავისი შემოქმედება ჯანსაღი, მუსიკის კორიფეების მაგალითით წაიყვანა, რითაც გზა გაუკაფა ბევრ ხელოვანს, რომლებიც მის შემდეგ გამოვიდნენ საზოგადო ასპარეზზე.

... და აი განუკურნებელმა სენმა და გამოუვალმა მდგომარეობამ იგი ლოგინად ჩააგდო და სიცოცხლე მოუსწრაფა. სამშობლოდან შორს, საყვარელ მშობლიურ ხალხს მონატრებული, ერთგვარმა მიუსაფრობამ იგი საფლავის კარამდე მიიყვანა... ქართველი კომპოზიტორი ერეკლე ჯაბადარი ქალაქ ნიცის მიწას მიაბარეს. ეს იყო 1937 წლის 18 აგვისტოს. მან საფლავში ჩაიტანა უდიდესი სურვილი სამშობლოში წამოსვლისა და განუზომელი წუხარვილი მშობლიური ხალხის ხილვისა.

შალვა მუშველიძე.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

სურათებზე: ზემოთ — ე. ჯაბადარი; ქვემოთ, მარცხნიდან — პიანისტი თ. გოგოლაშვილი, საკონცერტო დარბაზში; დირიჟორი ლ. კილაძე; სოლისტი თ. ზაალიშვილი.

იმედის ფიქრები

სოფელ ლიხეთში პეტრე და ოლია მელაშვილების ოჯახიც ჰყვაოდა მრავალ ოჯახთა შორის. მათი ოთხი შვილი ერთად რომ გამოვიდოდა უბანში, მნახველი თუ ხმამაღლა არა, გულში მაინც იტყოდა „ნეტავ დედათქვენსო“. ლაღობდა პეტრეს ოჯახი...

რა სჯობდა მათთან სტუმრობას, ლხინით აგავსებდნენ გულუხვი მასპინძლები. ასეთი იყო ეს ბედნიერი ოჯახი, მაგრამ იქუხა ომმა, მეზმა ჩაფერფლა მშობლების გულიც. მათი შვილები ვალიკო, ირაკლი და მიშა ომიდან აღარ დაბრუნებულან, ხოლო უმცროსი შვილი — ლევანი ომის პირველსავე წლებში საბედისწერო შემთხვევის მსხვერპლი გახდა.

პეტრეს და ოლიას სტუმართმოყვარეობა ისევ ძველებური შემორჩათ, მაგრამ ლხინი და სიხარული შვილების დაკარგვამ მოსტაცა ოჯახს. თუმცა მთელი სოფელი თანაუგრძნობს, ყველა ცდილობს დარდი გაუნელოს მოხუცებს, მაგრამ... ვერაფერმა შეავსო დაცარიელებული გული.

პეტრე ახლა ოთხმოცი წლისაა, ოლია სამოცდაოთხის, მაგრამ ჯანი ისევ ახალგაზრდული მოსდევთ.

— შრომაში კაცმა რომ მაჯობოს, თავი რაღად მინდაო, — ძველებური შემართებით ამბობს პეტრე და მუშაობს ვაჟკაცივით, შრომაში აყოლებს გულის დარდს... რამდენჯერ შეჰყინვია ხელში თოხისტარი და ფიქრს ომამდელ დროში გადაუსვრია. აი, ეს კეჟეთები, ჰეპუბები და ტყეზურგები რამდენჯერ დაუმუშავებია შვილების დახმარებით, თითქო ახლაც ხედავს მის გვერდში მდგომ ვაჟკაცებს და ეუბნებიან: „მამა, შენ დაისვენე, ამ სრიელს ჩვენც მალე ავიტანთო“. მერე მოხუცი ტკბილი მოგონებიდან გამოერკვა და გულნატკენს ოხვრა აღმოხდა. ვინ იცის, ახლა რამდენი შვილიშვილის ბაბუა იქნებოდა, მის დაცარიელებულ კარმიდამოში რამდენი ბიჭუნა და ბაფთიანი გოგონა იხარებდა. მისი მიზანიც სწორედ ეს იყო, მაგრამ მძვინვარე ომმა ოცნება მწარე სინამდვილედ უქცია — ოჯახი სულითა და ხორცით გასცალა.

სადაც არ უნდა იყვნენ მოხუცები, ყველგან შვილებზე ლაპარაკში აღამებენ და ათენებენ. ბუხართან მსხდომნი უთქმელადაც ხვდებიან ერთმანეთის გულის ტკივილს. მერე პეტრეს მოაბზრდება გულისწამღები სიჩუმე, ცოლის ცრემლები და იტყვის:

— გეყოფა ქალო, ოცდაჯამი წელიწადი თვალი არ ამოგშრობია, მოეშვი ამ უნაყოფო ცრემლისღვრას. — რიხით ეტყვის პეტრე, მერე ბუხრისთვის შეშის შემოტანას მოიმიზეზებს, გარეთ გავა, მის გრძელ, დახრილ ულვაშებზე დაცვენილი ცრემლები ღილის ნამივით აყიაფდება...

ვინ იცის, მართლაც, პეტრეს რომელიმე შვილი ცოცხალი გადარჩა; ჩვენი გაზეთის კეთილი მკითხველნო, თუ სადმე ყური მოგიგრავთ ან შეხვედრიხართ პეტრეს შვილებს, ამავე გაზეთის საშუალებით აცნობეთ მათ მშობლებს.

ა. გეშიძე.



საშობლო ჩემი გულისფეთქვაა!..

ნარკვევი

ჩვენი გაზეთის ამ ნომერში ვბეჭდავთ ნარკვევს, რომელშიც ავტორი გვიამბობს შორეული ბრაზილიიდან შინ მობრუნებულ თანამემამულე **სვიმონ ნინიკაშვილზე.**

დამთავრდა ამ საინტერესო ადამიანის სამშობლოს გარეთ ხეტიალი, 37 წლის განმავლობაში განცდილ მძიმე დღეთა შთაბეჭდილებები „დავიწყებას“ მიეცა. დღეს სვიმონ ნინიკაშვილი თავისი ორი ვაჟკაცითა და საყვარელი მეუღლით, საბჭოთა საქართველოს მჩქეფარე ცხოვრების ფერხულშია ჩაბმული.

პარზე ვიღაცამ ფრთხილად დააკაკუნა, შემოვიდა საშუალო ტანის, წარმოსადეგი მამაკაცი. ვეცნობით ერთმანეთს. — სვიმონ ნინიკაშვილი, — მეუბნება იგი და მაგრად მართმევს ხელს.

სვიმონ ნინიკაშვილი 65 წლის ჭარმაგი ვაჟკაცია. გხიბლავთ გულღია და თბილი ღიმილით. ლაპარაკობს დინჯად და დაბეჯითებით. ერიდება მაღალფარდოვან ფრაზებს, ხოლო მის მეტყველებას ოდნავ არქაული იერი დაჰკრავს. ეს არც გასაკვირია. სვიმონ ნინიკაშვილმა სიჭაბუკის წლები სამშობლოში გაატარა, შემდეგ უცხოეთში გადაიხვეწა და თავის ქვეყანას მხოლოდ ოთხი წლის წინათ დაუბრუნდა...

...კახეთის თვალწარმტაცი სოფელი ტიბაანი, ცივგომბორის მარადთოვლიანი მთები, წითელი კრამიტით გადახურული სახლები, ჩრდილიანი ხეივნები, ვენახის ზვრები. ჭაბუკს სამუდამოდ გაჰყვა ნათელი მოგონება თავისი მშობლიური სოფლისა და მისი შრომისმოყვარე ხალხის შესახებ.

ბავშვობიდანვე შეეყვარა შრომა სვიმონმა, მთელი დღე ყანასა და ვენახში ტრიალებდა, ასე შრომაში განვლო ბავშვობის წლებმა.

საღამოობით დაწყებითი სკოლის მოსწავლე ჭრაქის შუქზე ეცნობოდა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, უყვარდა აგრეთვე სათავგადასავლო ნაწარმოებების კითხვა. ჭაბუკს იზიდავდა შორეულ მოგზაურობათა რომანტიკა, ოცნებად ჰქონდა გადაქცეული შემოევლო მსოფლიო, გაცნობოდა სხვადასხვა ქვეყნების ცხოვრებას.

16-17 წლის ჭაბუკმა ფეხით შემოიარა საქართველო;

1923 წელს სვიმონ ნინიკაშვილი თბილისში ჩამოვიდა და სამშენებლო ტექნიკუმის სტუდენტი გახდა. ნიჭიერ ჭაბუკს ტექნიკუმი არ დაუმთავრებია.

მაშინ მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი, — გვიამბო სვიმონ ნინიკაშვილმა.—ერთხელ ხელში ჩამივარდა ილუსტრირებული წიგნი სპარსეთის შესახებ. წიგნში ისე მიმზიდველად იყო მოთხრობილი სპარსეთის ისტორიაზე, მის თავისებურ ბუნებასა და ხალხზე, რომ სურვილი დამებადა აუცილებლად მენახა ეს უძველესი ქვეყანა. ბევრი აღარ მიფიქრია... მალე სპარსეთის მიწაზე აღმოვჩნდი. თავრიზში დავსახლდი, აქ ცხოვრობდა რამდენიმე ქართული ოჯახი.

უცხო ქვეყანაში ცხოვრება გამიჭირდა. ენა მე არ ვიცოდი, პროფესია არ მქონდა. მშიერ-მწყურვალი დავხეტიალობდი თავრიზის ქუჩებში. ბოლოს სახლის მშენებლობაზე ვიპოვე სამუშაო, ჩემი არსებობაც ასე თუ ისე ასატანი გახდა.

როცა სახლის მშენებლობა დამთავრდა, ისევ უმუშევარი დავრჩი, სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი — ცალკე ჩემი სამშობლო მენატრებოდა, სპარსელი ჩინოვნიკები უკან გაბრუნების უფლებას არ მაძლევდნენ, ცალკე ულუმპაურობა და უსახლკარობა მტანჯავდა.

შემდეგ თეირანში გადავსახლდი, აქ რკინიგზის მშენებლობაზე მოვეწყვე, ტექნიკოსის პროფესიას დავეუფლე, აქვე მოვეკიდე ოჯახს, ურიგოდ არ ვცხოვრობდით, მალე შვილებიც შევეძინა და თანდათან თითქოს შევეგუეთ უცხო ქვეყანას.

სვიმონ ნინიკაშვილი ჩაფიქრდა. გარდასულ დღეთა გახსენებამ უსიამო მოგონებები აუშალა. — არასოდეს არ უნდა დატოვოს ადამიანმა სამშობლო, თავის ქვეყანას მოწყვეტილი კაცი უნა-

„ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ ენაზე



ცნობილმა ფრანგმა მწერალმა-ესეისტმა, იუნესკოს ლიტერატურული განყოფილების გამგემ **როჟე კაიუამ**, რომელიც წელს ზაფხულში სტუმრად იყო თბილისში, გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა:

— იუნესკოს ლიტერატურულ სექციას გადაწყვეტილი აქვს მსოფლიო საზოგადოებრიობას გააცნოს ის ბრწყინვალე ქმნილებანი, რომლებიც მთელი თავიანთი მშვენიერებით ნაკლებად არიან ცნობილნი, ვინაიდან ძნელად მისაწვდომი ენა არ იძლევა ამის საშუალებას. ამ სერიას „თვალსაჩინო ნაწარმოებთა იუნესკოს კოლექცია“ ჰქვია.

ამ სერიაში ერთ-ერთ საპატიო ადგილს დაიკავებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი, რომელიც გამომცემლობა „გალიმარმა“ ცალკე წიგნად გამოუშვა ფრანგულ ენაზე“.

ამ დღეებში „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად მთარგმნელმა, თქვენთვის კარგად ნაცნობმა **სერგი წულაძემ**, რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს მეცნიერ-მუშაკად, პარიზიდან მიიღო „გალიმარის“ მიერ გამოცემული შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა.

წიგნი შესანიშნავად არის გამოცემული, დართული აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა და შენიშვნები, ყდას ამშვენებს ძველი ქართული მინიატურის ფოტო-რეპროდუქცია.

„ვეფხისტყაოსნის“ ამ ფრანგული გამოცემის რედაქტორია აკადემიკოსი **შალვა ნუცუბიძე**, რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო რუსთაველის გენიალური პოემის ფრანგულად ამეტყველების საქმეში.

ქართული ღვინო უცხოეთში

ზესტაფონის ღვინის ქარხნების კოლექტივები ყოველწლიურად ადიდებენ გამოშვებულ პროდუქციას და მის ხარისხს. საწარმოთა გამოშვებულ ნაწარმს შეხვდებით ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქებში. როგორც წესი ქართული ღვინოები დიდი მოთხოვნილებით სარგებლობენ.

ამ დღეებში 30.000 დეკალიტრი მაღალხარისხოვანი ქართული ღვინო გაიგზავნა ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთში.

უძლიერესი

მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი — სსრ კავშირის ჩემპიონი



სურათზე: მსოფლიოსა და სსრ კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის, საერთაშორისო ოსტატი ნონა გაფრინდაშვილი.

ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი ის სიხარული, რაც თბილისის „დინამოს“ ჩემპიონობით იყო გამოწვეული, როცა სპორტის მოყვარულებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ.

ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა თბილისში სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატი, რომელშიც **საქართველოდან მონაწილეობდნენ ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია და ა. ჩაიკოვსკაია.** მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი ჯერ არასოდეს ყოფილა სსრ კავშირის ჩემპიონი, ხოლო 15 წლის ნანა ალექსანდრია პირველად მონაწილეობდა ასეთი მასშტაბის ასპარეზობაში.

ტურნირი, რომელშიც 20 მოჭადრაკე გამოდიოდა, დაძაბული და საინტერესო გამოდგა. პირველ ხუთ ტურში ნონამ მხოლოდ სამი ქულა მოაგროვა და ერთი პარტიაც კი წააგო, წააგო პირველად უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში. ლიდერობა მოსკოვის ჩემპიონმა ე. რუბცოვამ იგდო ხელთ. სტარტზე ერთგვარი წარუმატებლობა ნონამ მეათე ტურისათვის საბოლოოდ გამოასწორა. მან 6 პარტია მოიგო ზედიზედ და ლიდერი გახდა ნანასთან ერთად. 15 წლის ნანა ალექსანდრია მისი წლოვანებისათვის უჩვეულო სიდინჯით და სიღრმით თამაშობდა. მაგრამ გრძელ დისტანციაზე დაღლა დაეტყო და საბოლოოდ მეექვსე–მეშვიდე ადგილები გაიყო ვ. ბორისენკოსთან ერთად. ესეც დიდი მიღწევაა ახალგაზრდა მოჭადრაკისათვის, რომელსაც სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ნონა ფინიშზედაც უძლიერესი იყო, მან იოლად დაამარცხა თავისი უახლოესი კონკურენტები და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. მან 19 შესაძლებლიდან 15 ქულა მოაგროვა და ორი ქულით გაასწრო მეორე — მეოთხე ადგილებზე გამოსულ სამ მოჭადრაკეს. ნონამ ყველაზე მეტი — 12 მოგება მოიპოვა.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა **მიხეილ ტალმა** ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში გაბაცხადა:

— ტურნირმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ საჭადრაკო გვირგვინი უძლიერეს უპყრია ხელთ და რაც სასიხარულოა, ნონას შემოქმედებითი პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე და მთლიანად გახსნილი.

საახალწლოდ მსოფლიოსა და სსრ კავშირის ჩემპიონი მონაწილეობას მიიღებს ჰასტინგსის ვაჟთა მთავარ ტურნირში. სადაც იგი პერსონალურად არის მიწვეული. ლეგენდარული მოჭადრაკის ვერა მენჩიკის შემდეგ ქართველი სტუდენტი, 23 წლის ნონა გაფრინდაშვილი პირველი ქალია, რომელიც ინგლისში მიიწვიეს.

* * *

20 დეკემბერს, სწორედ იმ დღეს, როდესაც მოჭადრაკე ქალებმა ასპარეზობა დაამთავრეს, თბილისის სპორტის სასახლეში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ **სსრ კავშირის ჩემპიონი თბილისის „ბურევესტნიკი“** და პოლოხეთის ჩემპიონი კატოვიცე აზს-ს ხელბურთელები.

ქართველმა ხელბურთელებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს ეს მეტად პასუხსაგები შეხვედრა. დამარცხეს მეტოქე ანგარიშით 32:18 და მეოთხედფინალში გავიდნენ. მატჩის გმირი იყო ჯ. ცერცვაძე, რომელმაც 8 ბურთი გაიტანა. მორიგი შეხვედრა თბილისელებს ექნებათ იუგოსლავიის ჩემპიონ ზაგრების „მედვეშჩაკთან“ მოწინააღმდეგისა და საკუთარ მინდორზე.

კატოვიცეს გაზეთ „სპორტის“ მიმომხილველმა გ. გრიშჩუკმა ასე დაახასიათა თბილისელები: **— თქვენი გუნდი ორი წლის წინათ ვნახე პოლონეთში, იგი საოცრად გაზრდილა და ახლა ევროპული კლასის გუნდია. ვფიქრობ იგი ევროპის ჩემპიონთა თასის რეალური პრეტენდენტია.**

* * *

და ბოლოს კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან. ევროპის ჩემპიონი ძიუდოში, ოლიმპიური ასპარეზობის პრიზიორი **ანზორ კოკნაძე** (მძიმე წონა) **სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ჰიდაობა სამბოში.**

ეს ყველაფერი ძვირფასო თანამემამულენო, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, სულ ამ მოკლე ხანში, 1964 წლის მიწურულში მოხდა. თვალი რომ გადავავლოთ მთლიანად განვლილ წელს, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ მართლაც კარგი მოსავალი ჰქონდათ ჩვენ სახელოვან სპორტსმენებს.

ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან თქვენ კარგად იცით ქართველ სპორტსმენთა წარმატებებზე საკავშირო, ევროპისა თუ მსოფლიოს სარბიელზე, იცით მათი მიღწევები ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე, იცნობთ მათ, ვინც სახელს უთქვამდა ჩვენს სამშობლოს. ისინი ბევრნი არიან.

ეს არის სსრ კავშირის ჩემპიონი **თბილისის „დინამოს“** ფეხბურთელთა გუნდი, ისინი არიან სსრ კავშირის ჩემპიონები — **თბილისის „ბურევსტნიკის“** ხელბურთელები, ეს არის მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, ეს არის მსოფლიოს ჩემპიონი მოჭიდავე **გურამ საღარაძე,** ესენი არიან ოლიმპიური ასპარეზობის პრიზიორები **ა. კოკნაძე და ფ. ჩიკვილაძე,** ოქროს მედლის მფლობელნი **ნ. ასათიანი და ვ. კაჭარავა,** ვერცხლის მედალოსნები **შ. ქველაშვილი, რ. რურუა და ლ. მოსეშვილი** და მრავალი სხვა, რომელთა მარტო ჩამოთვლასაც არ ეყოფა ამ მიმოხილვის მცირე ფორმა.

ახალ 1965 წელს, ჩვენ გვჯერა ამისი, საქართველოს სპორტსმენებს კიდევ უფრო მეტი წარმატებები ექნებათ საერთაშორისო სარბიელზე და ჩვენც სისტემატურად მოგითხრობთ მათზე.

ვუსურვოთ ჩვენ სახელოვან სპორტსმენებს შემდგომი წარმატებები.

ო. ლორთქიფანიძე.

ყოფო ხესა ჰგავს, — ამბობს იგი და სინანულის გრძნობა იპყრობს.

წვიმამ გადაიღო, პროსპექტი ლამპიონებმა გააჩირაღდნა. ტროტუარი ხალხის ნაკადმა აავსო. სვიმონ ნინიკაშვილი ფანჯარას მიუახლოვდა და სკამზე ჩამოჯდა. „რუსთაველის პროსპექტი, რამდენჯერ მინატრია ეს დღეცვალი ქუჩა უცხოეთში ყოფნის დროს“, — ღიმილით ამბობს და ბედნიერი თვალებით გაჰყურებს მშობლიურ თბილისს.

შემდეგ ისევ ჩაფიქრდა. მოგონებებმა შორეულ სპარსეთში გადაიყვანა. ჩემი შვილები — ზურაბი, თედო და დათო ქართულ ადათ-წესზე იზრდებოდნენ, ამბობს სვიმონი. — ჩვენს ოჯახში ხშირად მოდიოდა ხანდაზმული, სათნო და განათლებული ქალი — ქსენია, ისიც სამშობლოდან იყო გადმოხვეწილი. დეიდა ქსენიამ, როგორც ჩემი ბავშვები ეძახდნენ ამ ქალს, ჩინებულად იცოდა ქართული ენა. სწორედ მან შეასწავლა ბიჭებს ქართული ანბანი, გააცნო ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები... სვიმონ ნინიკაშვილის ოჯახი სამშობლოსაკენ ისწრაფოდა. მაგრამ სამშობლოში დაბრუნების დიდ სურვილს ყოველთვის ეღობებოდა სპარსული ჩინოვნიკის უსულგულობა. თანაც ცხოვრების პირობების გაუარესებამ ოჯახის უფროსს აფიქრებინა სამუდამოდ დატოვებინა სპარსეთი თავის ოჯახთან ერთად.

— არჩევანი შორეულ ბრაზილიაზე შევაჩერეთ. გადმოცემით ვიცოდით, რომ ამ ქვეყანაში ბევრი ქართველი ცხოვრობდა. ბრაზილიაზე ამბობდნენ, რომ იქ შედარებით ადვილია სამუშაოს პოვნაო, — დაასკვნა სვიმონმა.

ასე თუ ისე სვიმონ ნინიკაშვილის ოჯახი ბრაზილიაში გადასახლდა. დასაწყისში მათი მდგომარეობა არ იყო სახარბიელო. ეს გასაგებია. ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ პორტუგალიური ენა, რომელიც ალიარებულია ბრაზილიის ეროვნულ ენად.

მალე ჩვენი ოჯახის წევრებმა ისწავლეს პორტუგალიური ენა, — განაგრძო მან, — ბრაზილიური ცხოვრების წესსაც შეეგუნენ. სან-პაულოში დავსახლდით, ბრაზილიის ერთერთ უდიდეს ქალაქში. იგი ამ ქვეყნის ინდუსტრიული ცენტრია და ამიტომ სამუშაო შედარებით სწრაფად ვიშოვე. მე და ჩემი უფროსი ვაჟი ზურაბი სახლების მშენებლობაზე ვმუშაობდით ტექნიკოსებად. ჩემმა მეორე ვაჟმა თედომ ფეხსაცმლის ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა, უმცროსი დათო კი სკოლაში სწავლობდა.

ბრაზილიაში სვიმონ ნინიკაშვილისა და მისი ოჯახისათვის კიდევ უფრო აუტანელი გახდა ცხოვრება.

რამდენიმე წლის წინათ, ნინიკაშვილების ოჯახში უბედურება დატრიალდა. მშენებლობაზე, ტრაგიკულმა შემთხვევამ სიცოცხლეს გამოასალმა სვიმონის უფროსი ვაჟი — ზურაბი. შორეული ბრაზილიის მიწამ მიიბარა ქართველი ჭაბუკი, რომელიც ვერ მოესწრო თავისი საყვარელი სამშობლოს ნახვას.

ამ შემთხვევამ საბოლოოდ განსაზღვრა სვიმონის გადაწყვეტილება — აუცილებლად დაბრუნებულიყო სამშობლოში.

1961 წელს სვიმონ ნინიკაშვილის ოჯახის ოცნება ასრულდა. იგი საქართველოში დაბრუნდა.

— მშობლიურმა ქვეყანამ ხელგაშლილად მიგვიღო, გულში ჩაგვიკრა. ჩვენ მოწიწებითა და სიყვარულით ვემთხვევით მის წმიდათაწმიდა მიწას, მშობლიურ ქართულ მიწას.

სამშობლოზე საუბარმა სვიმონი გამოაცოცხლა. იგი აღელვებით ფურცლავს ჟურნალს და შემდეგ საუბარს აგრძელებს.

— ახლა თბილისში, კარგ სამოთახიან ბინაში ვცხოვრობთ. ბრაზილიიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ერთხანს მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლად ვიმუშავე, შემდეგ კი პენსია დამენიშნა. უფროსი შვილი თედო, — რომელიც ახლა 27 წლისაა, ტაქსომოტორების გარაჟში რემონტიორად მუშაობს, უმცროსი დათო კი თბილისის მე-4 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეა. ორი წლის წინ — თედომაც განაახლა სწავლა და ახლა მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მე-9 კლასშია. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩემი შვილები ოცნებობენ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის გაგრძელებაზე. მშენებელი ინჟინრები უნდათ გახდნენ...

არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი დამახასიათებელი მომენტი: როცა ტიბაანელებმა, ჩემი სიყრმის მეგობრებმა გაიგეს უცხოეთიდან ჩვენი დაბრუნების ამბავი, სახლში მესტუმრნენ. თანასოფლელებმა ტიბაანში მიმიპატიჟეს. ოჯახთან ერთად ვეწვიე ჩემს სოფელს, მოვინახულე სახლი, სადაც ოდესღაც ვცხოვრობდით, ჩემთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ადგილები.

თბილისშიც მრავლად გავიჩინეთ მეგობარ-ამხანაგები. ბევრი გულითადი მეგობრები ჰყავთ თედოსა და დათოს. ჩვენს ოჯახში მუდამ დიდი სტუმრიანობაა.

სამოთხე დაგვხვდა მშობლიურ ქართულ მიწაზე. რა უშრომიათ და რა უშენებიათ ამ 37 წლის მანძილზე! როგორ მომრავლებულა და დამშვენებულა ხალხი! განახლებულან საყვარელი სამშობლოს სოფლები და დაბა, ქალაქები. ამა თვითონ ტიბაანს გადახედეთ, სადღაა ის ჩამჭვარტლული ჭოხმახები, ყველგან ორსართულიანი სახლებია წამოჭიმული, გზები ასფალტირებული, ამა სად შეხვდები დღეს, საქართველოში გაუნათლებელ კაცს.

ამ სიტყვებით დამთავრდა ჩვენი საუბარი სვიმონ ნინიკაშვილთან, კიდევ ბევრი უნდოდა ეთქვა, მაგრამ შეჩერდა და ამ სიტყვებით გამომემშვიდობა — ნახვამდის, აწი შვილებმა ილაპარაკონ სამშობლოსათვის სასახელო საქმეებითო.

ა. ვარდოშვილი.

• • •

სურათზე: ს. ნინიკაშვილი თავისი ოჯახით.



საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გამოსვლა.

ქუთათელი ძმადნაფიცები

ისინი ერთად იზრდებოდნენ რიონსა და წყალწითელაზე. დათუნია საკირესთან ცხოვრობდა მაშინ, ჯოჭია კი საფიჩხიაზე. ბიძაშვილები იყვნენ, მაგრამ ძმებივით უყვარდათ ერთიმეორე. ჭაბუკები წამოიზარდნენ, ცოდნა შეიძინეს, დავაუკაცდნენ... ჯოჭიას ყორა უწოდეს და დათუნიას დათო. ორივე საქმეს მოეკიდა. ბიძაშვილები საქმის სიყვარულით შრომობდნენ. მხოლოდ სამშობლოსა და ხალხის სამსახურმა დააცილა ისინი ერთურთს...

1937 წელს, 20 წლის გიორგი (ყორა) დარჩია (ზემო სურათზე) არმიაში გაიწვიეს. მასზე 2 წლით უმცროსი იყო დავით (დათუნა) დარჩია (ქვემო სურათზე) და 1940 წელს მანაც მიაშურა წითელ არმიას. მალე დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში გადაეშვნენ ძმადნაფიცები.

ომის პირველ დღეებში ყიტომირთან იბრძოდა ყორა, დავითი კი — შავი ზღვის აზვირთებულ ტალღათა ორომტრიალში... და ორნივ უკვალოდ გაუჩინარდა...

კალამს და მოქარგულ ენას არ ძალუძს დახატოს ქუთაისში, ჯაფარიძის ქუჩა № 142 მცხოვრები დარჩიების გულისნადები, 6 დაძმანის სურვილი ყორა (გიორგი) ნიკოლოზის-ძის ხილვისა... უსაზღვროდ გაიხარებდა დაუბერებელი ლეონინე და ილიკო დარჩიების ოჯახიც დათუნას (დავითის) კარგი ამბავით.

ძმადნაფიცების შესახებ ბევრი მაცნე მოვიდა სახლში. უველა მოგვითხრობს მათ გმირობაზე, სიმამაცეზე, მაგრამ ბოლომდე ამბის მთხრობელი ჯერ არსადა ჩანს, იქნებ თქვენ შორის არიან მეგობრებო?! თუ ასეა, მაშინ მხოლოდ თავის სიცოცხლის დასტური გვითხრან; თუ არა და მათგან გულმოკლულ ნათესავთა სახელითა გთხოვთ მათ შესახებ შეგვატყობინეთ თუ კი რამ იცით.

ნათესავების სახელით **ამირან, თეიმურაზ, ქართლოს, ანზორ, რომან და ჟორა დარჩიები.**





საქართველოს

ნიკოლაი კინჩევი

ბულგარელი პოეტი

ბრწყინავენ, ელავენ ჰიამაიები,
უველგან სილამაზე და ნამის მძივები...
ის ქვეყანა. — ნანატრი, ნახული!
უველგან სისპეტაკე, უველგან
გაზაფხული!
ფოთლების სიმღერა, საამო სურნელი,
უველგან სიხალისე, სულის
განმკურნელი!
უველგან სიხარული, დიდი,
საკვირველი,
ლამაზი ფრთით სერავს ცას ლაღი
ფრინველი!
ისუნთქონ ჰაერი უველგან ამ
ქვეყნისა,
ის უველას ეღირსოს, ამ ხალხს რომ
ეღირსა!
ამაყო ალვისხევ, ალვისხევ მაღალო,
საამოდ შრიალმა ნურასდროს
დაგლალოს!
აი ის ქვეყანა — ნაძებნი, ნახული!
უველგან სისპეტაკე, უველგან
გაზაფხული!

თარგმანი ა. ბეგაშვილისა.

ჩვენს მკითხველებს

ჩვენი გაზეთის პატივცემულო მკითხველებო!

როგორც ამ ნომრიდან შეიტყობთ, შეიცვალა გაზეთის რედაქციის მისამართი, რომელიც ახლა ასეთია: თბილისი, გიორგი ათონელის ქ. № 25.

ვინ იყო გიორგი ათონელი?

გიორგი ათონელს (მთაწმინდელს) ათონის ივერიის მონასტრის წინამძღვარს, ჩვენი მწერლობის ისტორიაში ისეთივე ღვაწლი მიუძღვის, როგორც ექვთიმე ათონელს (მთაწმინდელს) — ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარსა და საქართველოს კულტურული წარსულის უდიდეს პიროვნებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი ათონელს, სხვა შრომებთან ერთად, დაწერილი აქვს სწორედ თავისი დიდი წინამორბედის ექვთიმე ათონელის ბიოგრაფია „ცხოვრება ექვთიმე ათონელისა“.

გიორგი ათონელი (XI საუკუნის პირველი ნახევარი) შესანიშნავი მოღვაწეა ჩვენს ისტორიაში. მან თავისი კვალი აღბეჭდა ცხოვრების ყოველ დარგში — იგი იყო უდიდესი პატრიოტი, რომელსაც არ ავიწყდებოდა სამშობლოს ინტერესები არც სამშობლოში, არც უცხოეთში. საქართველოს სახელი, დიდება მან გაიტანა შორს დასავლეთში... განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის გიორგი ათონელს ჩვენი იმდროინდელი საეკლესიო და საერო ცხოვრების ანომალიების გამოსწორება-აღმოფხვრაში.

ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია მაინც მისი ლიტერატურულ-სამწერლობო მოღვაწეობა. გიორგი ათონელმა თავისი დაუღალავი შრომით და განათლებით „ყოველნი განაკვირნა, არა ხოლო თუ ქართველნი, არამედ ბერძენიცა და ასურნი“, — აღნიშნავს გიორგის ცხოვრების ბიოგრაფი მისი მოწაფე გიორგი მცირე — ხუცესმონაზონი.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე კვირას 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე— 50,59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

საredაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.